



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ახალციხის ქვაბული

ახალციხის ქვაბული, მესხეთის ქვაბული, სამცხის ქვაბული, ტექტონიკურ-ეროზიული მთათაშორისი ქვაბული სამხრეთ საქართველოში (სამცხე-ჯავახეთის რეგიონი), მდ. მტკვრის ზემო აუზში. ჩრდ-იდან შემოფარგლულია მესხეთის ქედის, სამხრ-იდან – ერუშეთის ქედის, დას-იდან – არსიანის ქედის კალთებით; აღმ-ით ესაზღვრება თრიალეთის ქედის დას. დაბოლოება.

ა. ქ-ის ფსკერის აბსოლ. სიმაღლეა 900 – 1000 მ. ქვაბულის ფერდობები აგებულია შუაეოცენური ასაკის ვულკანოგენური ქანებით, ხოლო შუა ნაწილი ზედა ეოცენის თაბაშირიანი ქვიშიან-თიხოვანი წყებით, ოლიგოცენური თიხებითა და ქვიშიან-თიხოვანი დანალექებით, აგრეთვე მიოცენ-პლიოცენის ტუფოგენური (გოდერძის) წყებით. მეოთხეული დანალექები მტკვრისა და მისი შენაკადების ხეობათა ძირზეა.

ქვაბულის ცენტრში ტერასული ვაკეა. კიდეებზე (ზ. დ. 1200 – 1300 მ-მდე) განვითარებულია ბორცვიან-სერებიანი ეროზიული ლანდშაფტი, უმთავრესად რელიეფის ნაბი ფორმებით; ვულკანოგენურ წყებებზე რელიეფი კლდოვანია. 1200 – 1300 მ ზემოთ მესხეთის, ერუშეთისა და არსიანის ქედების კალთების საკმაოდ დანაწევრებული მთა-ხეობათა რელიეფია.

ა. ქ-ში ძირითადად მთის სტეპის ჰავაა. იცის ცივი, შედარებით მშრალი ზამთარი, ზაფხული – ხანგრძლივი და თბილი. იანვ. საშ. ტემპ-რა $-2,2^{\circ}\text{C}$ (ასპინძა), $-5,4^{\circ}\text{C}$ (აბასთუმანი) ფარგლებში მერყეობს, აგვ. $17,3^{\circ}\text{C}$ -იდან (აბასთუმანი) $20,5^{\circ}\text{C}$ -მდე (ახალციხე). საშ. წლ. ტემპ-რა $6,5 - 9,5^{\circ}\text{C}$, აბსოლ. მინ. -32°C , აბსოლ. მაქს. 39°C . ნალექები 400 – 520 მმ წელიწადში. ქვაბულის ფერდობებზე ზემოთ ზომიერად ნოტიო ჰავაა, იცის ცივი ზამთარი და

გრილი ზაფხული.

ა. ქ-ის ჰიდროგრ. ქსელს შეადგენს მდ. მტკვარი და მისი შენაკადები - ქვაბლიანი (ფოცხოვისწყლით), ურაველი, წინუბნისწყალი და სხვ. ტბებიდან აღსანიშნავია წუნდა და სათახვე. მინერ. წყაროებია აბასთუმანში, ახალციხეში, ასპინძაში, ურაველში და სხვ.

ა. ქ-ში 1300 - 1400 მ სიმაღლემდე ტყის რუხ-ყავისფერ და ყავისფერ ნიადაგზე ტყის-სტეპის ლანდშაფტია. ქვაბულის ფარგლებს გარეთ 2000 - 2200 მ-მდე, ტყის ყომრალ ნიადაგზე განვითარებულია მთის ტყის, უფრო ზემოთ - მთა-მდელოს ლანდშაფტი.

დ. უკლება
